სსიპ „ეროვნული საშენი მეურნეობა“

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე

სატენდერო დოკუმენტაცია

სსიპ „ ეროვნული საშენი მეურნეობის“ საჭიროებისათვის ნერგის დასამაგრებელი გამომშრალი (ბამბუკის) ჭიგოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

გარდაბნის მუნიციპალიტეტი სოფ. სართიჭალა
2016 წელი

1. ტექნიკური დოკუმენტაცია

1. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

ა) პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინოს, სატენდერო წინადადების ფასი, ფასების ცხრილი, ტექნიკური პირობები,მიწოდების ადგილი და მიწოდების ვადა დანართი N1-ისმიხედვით- <u>პრეტენდენტ(ებ)მა დანართი N1–ში უნდა შეავსოს მხოლოდ ის გრაფები, რომელიც ივსება პრეტენდენტის მიერ, ხოლო სხვა დანარჩენი ინფორმაციის შეცვლის უფლება პრეტენდენტს არ გააჩნია და უნდა დაეთანხმოს შემსყიდველის მოთხოვნებს;</u>

ბ) თანხმობა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ანგარიშსწორების პირობებსა და ვადებზე დანართი N2-ის შესაბამისად;

გ) რეკვიზიტები – დანართიN3–ის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

ვ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში).

<u>ელექტრონულ სისტემაში ასატვირტი ინფორმაციის ყველა გვერდი უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში).</u>

2.) იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით) რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

3. ანგარიშსწორების პირობები:

3.1 ანგარიშსწორების პირობები და ვადები განსაზღვრულია დანართიN2-ის მიხედვით.

4. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები:

4.1 ტექნიკური პირობები იხ. დანართი N1.

5. სატენდერო წინადადების ფასი:

5.1. პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების ფასი და ფასების ცხრილი დანართი#1–ისმიხედვით.

5.2. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა დაგადასახადის გათვალისწინებით მათ შორის დღგ–ს ჩათვლით. ნებისმიერი ხარჯი ან გადასახადი, რომელიც არ შევა ამ ღირებულებაში არ ანაზღაურდება.

5.3 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და პირობები:

6.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 ათი კალენდარული დღის განმავლობაში. შემსყიდველის მისამართზე: გარდაბნის მუნიციპალიტეტი სოფ. სართიჭალა. გომბორის გზატკეცილი მე–6 კილომეტრი.

7. დაფინანსების წყარო - 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

8. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება – 7200 (შვიდი ათას ორასი) ლარი.

9. დამატებითი მოთხოვნები

9.1 სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

9.2 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

9.3 სატენდერო წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

10. **სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებების მოთხოვნის საშუალებები და პროცედურა:** ტენდერისთვის ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებიდან ამავე პუნქტის „მ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებამდე არაუგვიანეს 24 საათისა, ნებისმიერ მიმწოდებელს უფლება აქვს სისტემის მოდულის – ,,კითხვა/პასუხის“ მეშვეობით მოითხოვოს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტება.

2. დამატებით ინფორმაცია.

1.შემსყიდველი ორგანიზაციისაგან სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებებისა და დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის უფლება აქვს ნებისმიერ მიმწოდებელს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდულის „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით შესაბამისი ტენდერისთვის „ტენდერი გამოცხადებულია“ სტატუსის მინიჭებიდან „წინადადების მიღება დასრულებულია“ სტატუსის მინიჭებამდე არაუგვიანეს 24 საათისა.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ტენდერთან დაკავშირებული დაზუსტება/განმარტება განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდულის „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით, ტენდერისთვის „წინადადების მიღება დასრულებულია“ სტატუსის მინიჭებამდე გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2 საათისა შესაბამის ტენდერში წინადადებების მიღების დასრულებამდე.

3. ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი დაზუსტება/განმარტება განხორციელდება ასევე შესაბამისი ტენდერისთვის „შერჩევა/შეფასების“ სტატუსის მინიჭებიდან „ხელშეკრულება დადებულია“ სტატუსის მინიჭებამდე, მიმწოდებლის მიერ დაზუსტების/განმარტების მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში.

4. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებებისა და დამატებითი ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირები არიან: სატენდერო კომისიის აპარატის წევრი სატენდერო კომისიის აპარატის წევრი შოთა ტელ: 577-18-27-28

დანართი №1

სატენდერო წინადადების ფასი, ფასების ცხრილი,

შევსების თარიღი„ __“_____2016 წ

„_____“ სატენდერო წინადადების ფასი _____

(პრეტენდენტის დასახელება) (თანხა ციფრობრივად) (თანხა სიტყვიერად)

#	საქონლის დასახელება	ტექნიკური პირობები	რაოდენობა/ განზომილება	ერთეულის ღირებულება (ლარი) (*) ივსება პრეტენდენტის მიერ	საერთო ღირებულება (ლარი) (*)ივსება პრეტენდენტის მიერ	მიწოდების პირობები (**)	მიწოდების ადგილი (**)	საქონლის წარმოშობის ქვეყანა/მწარმოებელი კომპანია ივსება პრეტენდენტის მიერ
1	ნერგის მისამაგრებელი ჭიგო (44212227)	ნერგის მისამაგრებელი გამომშრალი ბამბუკის ჭიგო სიგრძე 2 მეტრი სიგანე 3 სმ-5 სმ	8000 ცალი			ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენადარული დღის განმავლობაში	გარდაბნის რაიონი სოფ. სართიჭალა გომბორის გზატკეცილის მე–6 კილომეტრი	

შენიშვნა:

(*) დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გათვალისწინებით,

გამარჯვებულ პირს დამატებით მოეთხოვება მის მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისი სატენდერო წინადადებისა და ფასების ცხრილის განფასება შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში.

_____ _____

(ხელმოწერა) (ბეჭედის ადგილი, ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობებისა და ვადების შესახებ

- ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ლარში.

- ანგარიშსწორება განხორციელდება ინსპექტირების დასკვნის, მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების და ანგარიშფაქტურის საფუძველზე (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

_____ _____

(ხელმოწერა) (ბეჭედის ადგილი, ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის სამართლებრივი ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონულიფოსტის მისამართი:

მომსახურე ბანკი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

_____ _____

(ხელმოწერა) (ბეჭედის ადგილი, ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

__ _____ 2016წ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ტენდერში გამარჯვებულთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ სსიპ „ეროვნული საშენი მეურნეობა“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის რევაზ ბეჟაშვილის სახით. იურიდიული მისამართი გარდაბნის მუნიციპალიტეტი სოფ სართიჭალა

(ორგანიზაციისდასახელებადაიურიდიულიმისამართი)

და მეორეს მხრივ _____

წარმოდგენილი მისი _____

იურიდიული მისამართი _____

(ორგანიზაციისდასახელებადაიურიდიულიმისამართი)

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1.შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში (განცხადების №) სსიპ „ეროვნული საშენი მეურნეობის“ საჭიროებისათვის ნერგის დასამაგრებელი გამომშრალი (ბამბუკის) ჭიგოების სახელმწიფო შესყიდვაზე (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება CPV კოდი 44212227 - სარები) და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი (————) ლარად (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება).

2.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

2.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1.საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. მიწოდებული საქონლის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართ №1-თან(სატენდერო დოკუმეტაციის დანართი №1) შესაბამისობის დადგენა, ინსპექტირების დასკვნის შედგენა, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;

2.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ „ეროვნული საშენი მეურნეობის“ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სპეციალისტი რამაზ ასათიანი.

3.შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები, რაოდენობა, ერთეულის ფასი, საერთო ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართში №1 (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1).

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.2. საქონლის მიწოდების ადგილი განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი №1–ით (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2. საქონლის მიღებისას სსიპ „ეროვნული საშენი მეურნეობის“ ადმინისტაციული სამსახურის უფროსი სპეციალისტი რამაზ ასათიანი მიწოდებული საქონლის ხელშეკრულების დანართი №1 -ით (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1) გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ახორციელებს საქონლის შემოწმებას და ადგენს შესაბამის ინსპექტირების დასკვნას.

5.3 იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების დანართი №1-ით (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1) გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სსიპ „ეროვნული საშენი მეურნეობის“ ადმინისტაციული სამსახურის უფროსი სპეციალისტი რამაზ ასათიანი მიღება-ჩაბარების

აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი ან მისი ნაწილი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების დანართი №1-ით (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1) გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

5.4. მიმწოდებელმა საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღეში შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საქონლის მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ორგანოდან).

5.5. ხელშეკრულების 5.4. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: გარდაბნის მუნიციპალიტეტი. სოფ. სართიჭალა.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ინსპექტირების დასკვნის, მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან) საფუძველზე, აღნიშნული დოკუმენტების შემსყიდველის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 3 (ასმი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.2.„შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3.კეთილსინდისიერად დამაღალ პროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.3.დროულად განიხილოს `შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1.„მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2.დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3.დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული დასრული დაფინანსება.

8.2.„შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1.აწარმოოს მიწოდებული საქონლის რაოდენობის, ხარისხის და მიწოდების ვადის კონტროლი;

8.2.2.განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე;

9. ფორს-მაჟორი

9.1.ხელშეკრულების პირობების ან რომელი მემათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევადა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2.ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათიკონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლისშ ეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3.ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავედროს შემსყიდველი არარის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმგარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ემუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1.შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2.თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1.თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარე მ ათი დღის ვადაში უნ დააცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების (მათ შორის ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების) შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2 . ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაბამის მხარეს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2.ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

14.1.4. წინამდებარე ხელშეკრულების 9.2. პუნქტში მითითებული გარემოების დადგომის შემთხვევაში;

14.1.5. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულსხვაშემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის ---------- ჩათვლით.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ორი - შემსყიდველთან.

„შემსყიდველი“

სსიპ „ეროვნული საშენი მეურნეობა“
გარდაბნის მუნიციპალიტეტი .სოფ.
სართიჭალა
სახელმწიფო ხაზინა
კოდი #
ა/ა #
ს/კ #

_____

რევაზ ბეჟაშვილი
დირექტორი

„მიმწოდებელი“

_____